# სახალხო გაზეთი

№ 989 სამშაბათი, 10 სექტემბერი 1913 წ. № 989

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორაში და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მან.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.



გულმოკლულნი: ელპიდე კონსტანტინეს ასული შვილებითურთ და მიხეილ დავითის ძე თოფურიები, ნატალია მიხეილის ასული იოსელიანისა, ლუკა პეტრეს ძე გაბუნია, ოლღა გიორგის ასული, ბართლომე და ექიმი კლიმენტი კონსტანტინეს ძენი თოფურიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ვანში, პირველი—დაუვიწყარი ქმრისა, მეორენი—მამისა, მესამე—შვილისა, მეოთხე—ძმის, მეხუთე—დისწულის და დანარჩენნი სიძის ელისავეტოპოლის ბრიგადის მოსაზღვრე დარაჯთა უფროსის

**იოსებ მიხეილის ძე თოფურიასას.**

გარდაცვალებულის მოსვენება სამშობლოში და დასაფლავება მოხდება სოფ. სეფიეთში (სენაკის მაზრა), ხუთშაბათს, 12 სექტემ. 2472



პირველ-ხარისხოვანი

# დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 10 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

## დიდი წარმოდგენა

ახალის პროგრამით პირველ-ხარისხოვანი ტრუპის მონაწილეობით „გრანდ-სუარის“ სახელწოდებით. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღეა, დირექციამ ბლომა ფული დახარჯა, რათა წარმოდგენა მეტად საინტერესო გამოსულიყო. ისწრაფეთ ნახოთ ჰაერის „4 ეშმაკი“ და ახალი ჰაერის მეფე ბ. ჯიოვანი, განსაცვიფრებელი სანახაობა—სიმარდე და გამბედაობა. ამას გარდა მონაწილეობას იღებენ ძმ. ვინცლუბი სიცილ-ხარხარის გამომწვევნი, პოპულიარული ექსცენტრიკები ტრიო ბროარსი. გამოვა ყოველგვარ ცხოველთა გამწვრთნელი ბ. რობერტსი თავისი ფენომენალური ვირით და მათემატიკოსს ძაღლით. გამოჩენილი იტალიელი აკრობატები „გადასაგდები ფიგურები“, ბ. დელა-კაზო და სხვანი.

დასაწ. სადამ. 8 ნახევ. ს. დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.



## ქიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

იწვევს ჩვეულებრივ **საზოგადო კრებას**

კვირას, 22 სექტემბერს, შუადღის 12 ს., ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

ა) მოხსენება საბჭოსი, ბ) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, გ) 1912 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, დ) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, ე) არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს ერთი წევრისა და სარევიზიო კომისიისა. თანახმად წესდებისა, მეორე კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 2471



## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.

სწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის პიესა**

## „მ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.



**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი **ი. ზ. გძელიშვილი** სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 546

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო **მიხ. გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

კბილის **ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1462

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220


## ტფილისი, 10 სექტემბერი

**ძველი ჩანგები.** რუსეთი კვლავ გამოუცნობელი ამოცანის წინაშე სდგას; ეს ამოცანაა მისი შინაგანი წეს-წყობილების მომავალი. ერთის მხრით არის 17 ოქტომბრის მანიფესტი, როგორც საფუძველი ზოგიერთ საკონსტიტუციო გარანტიებისა, მეორის მხრით კი რეალური სინამდვილე, რომელიც მანიფესტში აღნიშნულ თავისუფლებათა არც ერთს ელემენტს არ შეიცავს. ერთის მხრით არის საკანონმდებლო დაწესებულება, იურიდიულად აღჭურვილი ყველა იმ უფლებებით, რომლებიც საჭიროა კანონმდებლისათვის, მეორის მხრით, ბიუროკრატიული სისტემა მართვა-გამგეობისა, რომელზედაც ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს საკანონმდებლო დაწესებულება. როგორ გამოჰხატავს მესამე ივნისის კანონის ძალით შეკრებილი სათათბირო ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებას, ეს ყველას მოეხსენება! მაგრამ ასეთს სათათბიროსა და მთავრობას შორისაც კი გარდაუვალი უფსკრულია აღმართული. ყველა უკმაყოფილოა, ყველა ჰგრძნობს, რომ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების განვითარება იმ გზით არ მიდის, როგორადაც საჭიროა. ისეთი ზომიერი ელემენტებიც კი, რანაირიც ვაჭრები და მრეწველები არიან, სალაზკინის პირით ეუბნებიან პრეიმერ-მინისტრს კოკოვცევს, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ისეთი გაზეთი, რანაირიც „გოლოს მოსკვი“ არის, ოფიციოზი 17 ოქტომბრის მანიფესტის პარტიისა, ჰგოდებს და წუწუნებს, დღემდე მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი არ განხორციელებულა. „თავისუფლება ბეჭვდისა,—სწერს ზემოხსენებული გაზეთი,—განა საჭიროა ამ საშწუხარო თემაზე ლაპარაკი? ჩვენში ბეჭვდის არავითარი თავისუფლება არ არის; ვერც ერთს სტრიქონს ვერ უთავდებით, რომ იგი ადმინისტრატიულ დევნას არ გამოიწვევს. კრებებისა და კავშირების თავისუფლებაც ბეჭვდითი საქმეზე ნაკლებად არ განიცდის ადმინისტრატიულ ზედ-გავლენას.“

ასე წუწუნებს ოქტომბრისტების ორგანო, სხვა ყველას რომ თავი თავანებოთ. მიუხედავად იმისა, სათათბიროს მუშაობა ერთს გაყინულ წერტილიდან ვერ დაძრულა. ვერ ვიტყვით, რომ თვით სათათბიროს ზოგიერთს ფრაქციებსაც არ მიუძღოდეთ აქაში ბრალი. თვით ის ოქტომბრისტები, რომელთა ორგანოც ეხლა კბილებ ჩაცვივნულ ბებრუცუნასავით წუწუნებს, ბევრს შეეცადნენ, დაეცათ პრესტიჟი სახელმწიფო სათათბიროსი და მთავრობის სურვილების აღმასრულებელ ორგანოდ გადაექციათ. იყო დრო, როდესაც ოქტომბრისტებს ხელში საკმაო ძალა და გავლენა ექირათ. იყო დრო, როდესაც „დაკარგულ დოკუმენტის პარტია“ სათათაიროს ხელმძღვანელ პარტიად ითვლებოდა. სწორედ მაშინ დაეცა სათათბიროს პრესტიჟი; ოქტომბრისტებმა თავისი ორჭოფული მოქმედებით ნიადაგი მოუმზადეს იმას, რასაც დღეს ვხედავთ. დღეს კი ვხედავთ იმას, რომ სათათბიროს ანგარიშს აღარავინ უწევს,—არც საზოგადოება და არც მთავრობა. ოქტომბრისტებს ხშირადა ჰქონიათ შემთხვევა, დაემტკიცებინათ თავიანთი კონსტიტუციონალიზმი, ბევრჯელ შეეძლოთ სათათბიროს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელების გზისკენ გაეძართათ, მაგრამ ყოველთვის, როდესაც კი საქმე საქმეზე მიდგებოდა, ისინი მორჩილებით დაბლა ჰხრიდნენ თავიანთ დროშას, რომელსაც არჩევნების დროს ამაყად აფრიალებდნენ ხოლმე. დღეს კი მათი ოფიციოზი გადმომდგარა და წუწუნებს, 17 ოქტომბრის მანიფესტი განუხორციელებელი რჩებაო!

სათათბირომ ჯერ თვითონ უნდა გამოარკვიოს თავისი თავი, თვითონ უნდა მოისუროს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება და მხოლოდ მას შემდეგ შეუთვალოს საყვედური სხვებსა.

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკაზიეს“ კვირის ნომერში დაბეჭდილია დაულალავის დურნოვოს წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ავტორი ამტკიცებს, თუ რამდენად უსაფუძვლოა იმის შიში, რომ ავტოკეფალია ეკლესიისა წარმოშობს ერის განშორებას, მოჰყავს ბიზანტიის მაგალითები და კიდევ ერთხელ აღნიშნავს ქართული ეკლესიის აღდგენის საჭიროებას.

რაც შეეხება საქართველოს საზღვრებში მყოფ რუსთა, ამათთვის შეიძლება დაინიშნოს რუსი ეგზარხოსი არქიეპისკოპოსიო.

„თუ ტფილისში იცხოვრებდა მცხეთის კათალიკოსი, ივერიის ეკლესიის წინამძღოლი, იქვე შეეძლო ეცხოვრა რუსის ეგზარხოსს არქიეპისკოპოზს, რომელისამე რუსეთის ეპარქიის სახელწოდებით. ვოსტორგოვისებურ პატრიოტებს არ აფრთხობთ სომეხთა ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო აფრთხობთ ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა. მათ ვიწრო გონებას არ შეუძლიან შეიგნოს ის მარტივი მცნება, რომ ივერიის მართლ-მადიდებელ თავისუფალ ეკლესიას ყოველთვის მეგობრული დამოკიდებულება ექნება რუსის ეკლესიასთან“.

ბ. დურნოვო იმეორებს ძველს სიმართლეს. ჩვენ ბევრჯელ აგვინიშნავს, თუ რამდენად სამართლიანია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა: ეს იმდენად ცხადი სამართლიანობაა, რომ შეუძლებელია ვინმემ გონიერმა ხმა ამოიღოს მის წინააღმდეგ. ეს კარგად ესმით ვოსტორგოვს და მის ამხანაგებს, და თუ ებრძვიან საქართველოს ეკლესიას, არა იმიტომ, რომ სიმართლის ნასახი იყოს მათ მხარეზე.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ავადმყოფი მგოსანი იროდიონ ევდოშვილი** 7 აგვისტოს, ღამის მატარებლით ტფილისს ჩამოიყვანეს. ავადმყოფი მგზავრობას დაუსუსტებია და სიცხემ უმატა. ამას ზედ დაერთო ყბის გასიება, რომელიც გამოუწვევია კბილის ტკივილს. ცემში, სადაც მგოსანი იმყოფებოდა, ქირურგი ვერ ეშოვათ და ამიტომ აქ ჩამოიყვანეს. გუშინ ქირურგმა კიმონტმა ავადმყოფს იარა გაუჭრა, რის მოშუშების შემდეგაც ავადმყოფს დაუყოვნებლივ სოხუმს წაიყვანენ სანატორიუმში მოსათავსებლად.

✦ **ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო.** გ-ფიცვა ისევ გრძელდება და ძველებურად წესიერების დაურღვევლად მიმდინარეობს. გუშინ დილით ბრიუსელიდან ხელ-ახლა მოვიდა დეპეშა, რომლითაც უსახელო საზოგადოება იტყობინება, რომ ის თანახმაა მისცეს მუშებს გაფიცვის დღეების ჯამაგირის ნახევარი, თუ მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგებიან. საბჭო ჰპირდება, დაწვრილებით მოსალაპარაკებლად 10 სექტემბერს რწმუნებულს გამოვგზავნით ტფილისშიო. გუშინ, შუადღისას, ტრამვაის პარკში გაფიცულ მუშათა კრება მოხდა. კრებამ გაფიცვის დღეების სრული ჯამაგირი მოითხოვა. ამ რიგად შეთანხმება კიდევ ვერ მოხდა. ამას წინად დაჭერილი 15 კაცი ადმინისტრაციამ სამართალში მისცა. მათი საქმე ამ ჟამად საგანგებო საქმეთა გამომძიებელის იანჩევსკის ხელშია.

✦ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, **სამსახურიდან გადადგა** კავკასიის სამოსწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორი ბ. ლოპატინსკი.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს წევრს ა. კერენსკის** ტფილისში ლექციის წაკითხვის ნება არ დართეს. ამ დღეებში ბ-ნი კერენსკი ქუთაისს ეწვევა.

✦ **მღვთის მშობლობა.** 8 სექტემბერს დიდუბის მღვთის მშობლის ეკლესიამ თავისი დღესასწაული გადაიხადა. ამ დღეს მწირველი იყო ეკლესიაში საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველი ეპისკოპოსი პიმენი. დღესასწაულს ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **ჯვარის მამის ეკლესია,** როგორც ვწერდით, ამას წინად საგუბერნიო ინჟინერმა შეამოწმა ბერძენთა არქიმანდრიტის პატრიკის თხოვნით და დროებით დაჰკეტა, როგორც დაძველებული და ამიტომ საშიში. ახლა, თანახმად ტფ. ეკლესიების ბლაღოჩინის დეკანოზ ნ. მაქარაშვილისა და ეკლესიის წინამძღვრის ი. გამრეკელის თხოვნისა, ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ შეადგინა საგანგებო კომისია და დაავალა, ეკლესიის შენობა დაწვრილებით შეამოწმოს. კომისიაში შედიან: საგუბერნიო ინჟინერი ი. ი. გოგნოვიცკი, საეპარქიო ხუროთმოძღვარი ბ-ნი ბილთიოდი, დეკანოზი ნ. მაქარაშვილი, მღ. ი. გამრეკელი და ბერძენთა არქიმანდრიტი პატრიკი.

✦ **ქალაქის საელექტრონო სადგურზე** ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულმა კომისიამ დიზელები გამოსცადა. ამ მანქანათა პარალელური მუშაობა რამდენადმე დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. გუშინ კომისია დიზელების გამოცდას ხელმეორედ შეუდგა.

✦ **ფრენა.** კვირას, 8 სექტემბერს, დიდუბეში ბ. ქებურიამ ფრენა გამართა. ხალხი ფრენას ბლომად დაესწრო, მხოლოდ რადგანაც ერთი პოლიციელიც არ იყო დამხმარედ, ხალხს ფასი არ გადაუხდია და ამრიგად ფრენა უფასო იყო. აპარატი ქებურიას სრულიად განუახლებია, მაგრამ მატორი ისევ ძველია. ხალხი მანქანას გარშემო შემოხვევოდა და დიდი ხვეწნა დასჭირდა, რომ გასაფრენი გზა მიეცათ, 6 ს. 12 წუთზე მატორი აამუშავა და აფრინდა. იფრინა 15 წუთს. 250 საჟენის სიმაღლემდე ავიდა და, რადგანაც იმავე ადგილას დაშვება სახიფათო იყო ხალხისათვის, სადოლო მოედანზე დაეშვა. ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა. ავიატორი ხელში აიყვანეს და ვაშას ძახილით ეტლამდე მიაცილეს.

✦ **დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ძეგლი.** პეტერბურგის დეპ. სააგენტ. ატყობინებენ, ბორჯომიდან: გაიხსნა გლეხების მიერ აგებული ძეგლი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა. ძეგლის გახსნას დაესწრო დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით,** 7 სექტემბერს, საღამოს, სასტუმრო „ტროია“-ში რევოლვერი დაირტყა პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტმა ი. მ. ჩახავამ. მძიმედ დაჭრილი სტუდენტი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **საყინულეთა მოწყობის საქმე.** პეტერბურგიდან საყინულე-ვაგონები, რიცხვით ცხრა, 13 სექტემბერს ჩამოვა. ტფილისში უკვე შეუდგნენ სამზადისს ვაგონების დასატვირთად. დღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის საყინულე-ვაგონებს სკრასა (ავსარქისოვის მამულში), ქუთაისს და ბათომს ჰგზავნიან პეტერბურგსა და მოსკოვში გასაგზავნ სურსათ-სანოვაგის ჩამოსატანად ტფილისში. ვაგონებს შემდეგ ერევანსა და განჯას გაჰგზავნიან. გუშინ კრება ჰქონდა საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრების მომწვევ კომიტეტს რუსეთში გასაგზავნ ვაგონების დატვირთის საკითხის გამო.

✦ **სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის** ქალაქის პოლიციას წარსულ აგვისტოს განმავლობაში შეუდგენია 1,547 ოქმი, რომლითაც სამართალშია მიცემული 1,931 კაცი.

✦ **სასანიტარო რვეულები,** როგორც გამოირკვა, ყველა სახლის პატრონსა და მოვაჭრეს არ შეუძენია. ამის გამო გუშინ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, აიძულონ ყველანი, ერთის კვირის განმავლობაში რვეულები იყიდონ.

ტფ. პოლიცმეისტერს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ ზოგიერთს რესტორანსა, სატრაქტირო დაწესებულებებსა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას გარედან გამოყვანილი და რელიგიურ-ეროვნულ გრძნობის შემბღალველი წარწერები აქვს. ამის გამო პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა სავაჭრო დაწესებულებას ეწეროს მხოლოდ, რა დაწესებულებაა და ვის ეკუთვნის. თუ სხვა რამის დაწერა სურთ, იმ შემთხვევაში ნებართვა თვით პოლიცმეისტრისაგან უნდა აიღონ.

**დიდი მთავრის ქუჩის მოსაკირწყლავად** ინჟენერმა ვ. ზ. მირზოევმა უკვე დაამზადა ქვა და სხვა საჭირო მასალა, რომლის მიღებასაც გუშინ უკვე შეუდგა ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნული სატეხნიკო კომისია.

**საბირჟო ცნობები.** 9 სექტემბერს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მან. 50 კ., აძლევდნენ—84 მან. ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მან. 75 კ. აძლევდნენ—82 მან. და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 25 კ., აძლევდნენ—78 მ. 50 კ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ ხარისხის ბილეთისა—488 მ. 50 კ. მეორისა—377 მ. და მესამისა—321 მან.

7 სექტემბერს, ჩხრეკის დროს **პოლიციამ შეიპყრო უპასპორტონი** მე-3 ნაწილში 12 კაცი, მე-4—10 კ., მე-5—14 კ., მე-6—6 კაცი, მე-11—7 კაცი.

7 სექტემბერს, საღ. 8 საათზე, როდესაც სად. ნავთლუღიდან საქონლის მატარებელმა გაიარა, რკ. გზის დარაჯმა ციროუკოვმა ლიანდაგზე **იპოვა მე-16 გრენადერთა სამეგრელოს პოლკის ეფრეიტორი ეგორ სირკინი,** რომელსაც მარჯვენა ფეხი მოჭყლეტილი ჰქონდა, ხოლო მარცხენა—ძალზე დაშავებული. დაჭრილი უგრძნობლად მიიყვანეს არამიანცის სახელობის სამკურნალოში.

5 სექტემბერს მაძებარი პოლიციის განყოფილების უფროსის განკარგულებით **მიხეილის პროსპ. შეიპყრეს** უფლება ჩამორთმეული, სიღნაღის მოქალაქე, დიმიტრი დავითის ძე ქუოდაშვილი, რომელიც გორის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილა და თავის ნებით ტფილისს ჩამოსულა.

რედაქციამ მიიღო იაკ. მანსვეტაშვილის საფასით ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი და გამოცემული **„მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“**. წიგნი დიდი ხომისაა, ღირს მხოლოდ სამ აბაზად.

**უვარგისი ხორცი.** 8 სექტემბერს ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო მეთვალყურემ ვ. გ. [illegible] პეროვსკის [illegible] ქუჩაზე, ცხვრის [illegible] უვარგისი [illegible] ამოაჩინა, [illegible] ერთი ფუთი და [illegible] გირვანქა ხორცი მოსპო. [illegible] სამართალში აძლევს.

**მეურნეობის მდგომარეობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკო ბიურომ თავის კორესპონდენტებისგან მიიღო 780 საანკეტო ფურცელი, სადაც დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ რა მდგომარეობაში იყო სასოფლო მეურნეობა 1 აგვისტოსთვის. შეგროვილ მასალის შემუშავებას ბიურო უკვე შეუდგა და ამ დღეებში დაასრულებს მთელს მუშაობას. ცნობები მებამბეობის მდგომარეობის შესახებ ბიუროს ახლა მოსდის.

## საზოგადოებანი და კრებები

**მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულების კრება დაინიშნა 12 სექტემბრისთვის, საღამოს 8 საათზე. კრებამ, სხვათა შორის, ამ დღეს უნდა აირჩიოს ხარჯის ამკრებ მამასახლისის ორი თანაშემწე და მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის კანდიდატი.

**ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული. კომისია განიხილავს შიოევის სახელობის სახელოსნო სკოლის დაარსების საკითხს. სკოლის დაარსება განზრახულია ავლაბარში, სადაც ქალაქის თვითმმართველობას უკვე ნაყიდი აქვს გიგოლოვის მიწა.

**ვაჟთა პირველ გიმნაზიის მშობელთა წრის** კრება, რომელიც 8 სექტემბრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

**საგიმნასტიკო საზოგადოება „შევარდენი“** ზაფხულის შემდეგ კვლავ განაგრძობს მოქმედებას 10 სექტემბრიდან.

**„კავკასიის კავშირის“** საზოგადოების გამგეობის კრება ამ დღეებში მოხდა. გამგეობამ დაადგინა, შეუდგეს საზოგადოების მიერ დარიგებულ ყულაბების შემოწმებას. ამას გარდა კრებაზე გამოირკვა, რომ საზოგადოების თავშესაფარში ბავშვებისათვის თავისუფალი ადგილი არის. დაადგინა, მიიღოს ათი უპატრონო ბავშვი. დასასრულ გამგეობამ გადასწყვიტა, 14 სექტემბერს ავჭალაში დაათვალიეროს ის მიწა, რომელიც საზოგადოებას აჩუქეს.

## სასამართლო

**ტფ. სამოსამართლო პალატის სესია** 7 სექტემბერს ქუთაისისა, ბათომისა და სოხუმისკენ გაემგზავრა.

## ქუთაისი

ქუთაისს მოემატა ერთი საშუალო ქალთა სასწავლებელი გიმნაზიის უფლებით აღჭურვილი. მე მოგახსენებთ ქ-ნ მ. ყაუხჩიშვილის ასულის ქალთა კერძო სასწავლებელზე, რომელიც კარგა ხანია არსებობს ქუთაისში და, მიუხედავად ამისა, რომ [illegible] სასწავლებლის [illegible] სათანადო [illegible] მისაღებად წმ. ნინოს სასწავლებელში იჭერდნენ ეგზამენს. ეს ორი დღეა სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა აუწყა ქ-ნ ყაუხჩიშვილის ასულს, რომ მის სასწავლებელს გიმნაზიის უფლება მიენიჭა. ასეთი ამბავი ქუთაისში ბევრს სასიამოვნოდ დარჩა, რადგან სასწავლებელი ყოვლის მხრით კარგად არის დაყენებული და სხვათა შორის სამშობლო ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ვუსურვებთ ქ-ნ ყაუხჩიშვილის ასულს, რომ კვლავაც საქმის ცოდნით და სიყვარულით წაძღოლოდეს მისგან ფეხზე დაყენებულ სასწავლებელს.

8 სექტემბერს დილის მატარებლით ტფილისიდან ქუთაისს მივიდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი, კერენსკი. ბ-ნი კერენსკი ქუთაისში დარჩება 10 სექტემბრამდე და აქედან ჭიათურას წავა.

ამ დღეებში ქუთაისში მოელიან საგანგებო ვაგონს, რომელსაც ხელოვნურად აცივებენ. ამ ვაგონით მოსკოვს და პეტერბურგს უნდა გაიგზავნოს სხვადასხვა ძნელი შესანახი სანოვაგე. ეჭვი არ არის, რომ ხილის მოვაჭრენი და სხვადასხვა დაწესებულება დაეხმარებიან საქმის ინიციატორთ, რომ ვაგონის დასატვირთავი მასალა მოაგროვონ და ამით მწვანილსა და ხილის გზავნის საქმეს რუსეთში ხელი შეუწყონ.

21 სექტემბერს ნაშუადღევის 1 საათზე მოხდება ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის კრება, როდესაც, სხვათა შორის, განიხილავენ: აგრონომი ვასილიევსკის მოხსენებას, საქარის სანერგის საცდელ სადგურად გადაკეთების შესახებ, ბ-ნი ბერეკაშვილის მოხსენებას, ართვინის ოლქში საჩვენებელი ვენახის მოწყობის შესახებ, ამავე ბ-ნი ბერეკაშვილის მოხსენებას უფროსი სპეციალისტის მოქმედების შესახებ, ქიმიკოსი მოდებაძის მოხსენებას ტანინის გავლენის შესახებ საზოგადოდ ღვინოზე და კერძოდ ქუთაისის გუბერნიის ღვინოებზე. დასასრულ კომიტეტი ისაუბრებს იმ კრების შესახებ, რომელიც მოხდება ტფილისში 20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე ამიერ კავკასიის კომიტეტების წარმომადგენელთაგან.

## წინადადება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციას

(წერილი რედ. მიმართ)

ბ. რედაქტორო! დაგვერწმუნეთ, ჩვენცა გვაქვს გაღვიძებული ინტერესი სხვა და სხვა ჩვენი ცხოვრების საკითხებისადმი, ჩვენც გვინდა გაზეთი უმეტესად ამ საკითხებს ემსახურებოდეს. მაგრამ ის, რასაც ჩვენს გაზეთებში ვხედავთ დღეს—ეს არც ჩვენ მოგვწონებია, არც ერთ კულტურულ ერს და იგი სხვად არად მიგვაჩნია, გარდა ლიტერატურის ქუჩის წუმპეში ამოსვრისა. რა თქმა უნდა ვგულისხმობთ ი. ჭავჭავაძის გარშემო ატეხილ კამპანიას. ჭავჭავაძე რომ საინტერესო ადამიანი იყო და იქნება სანამ ჩვენი საზოგადოებრიობა მოუსპობელია—ეგ აშკარაა. იმის შესახებ წერა, კამათი, გამოკვლევა მისი ცხოვრების, ნაწერების—ყველასათვის საინტერესოა, მაგრამ ამ საქმესთან ხომ არავითარი კავშირი არ აქვს დღევანდელ ქუჩურ ბრძოლის საქმეს, კამპანიას?

დღევანდელი კამპანია უღირს რამედ მიმაჩნია. იგი აფუჩეჩებს ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს, მიმდინარე საქმეებს, გაკეთებით კი არაფერს აკეთებს და მიუხედავად იმისა, რომ უთავბოლოდ ბევრი ითქვა და დაიწერა, ნიშანიც კი არაა, რომ ამ საზიზღრობას ბოლო მოუღონ. კმარა ამდენი თავის აგდება. „სახალხო გაზეთმა“ უნდა თავის იდვას ამ საშინელი პოლემიკის მოსპობა. პრესა ქვეყნის გრძნობებზე მაღლა უნდა იდგეს და აძლევდეს მაგალითს დარბაისლობისას.

თ. ღლონტი.

## რედაქციისაგან

რედაქცია დიდის სიამოვნებით ეგებება ბ-ნ თ. ღლონტის წინადადებას. ბევრჯელ ვსცადეთ საზოგადოებრივ ცხოვრების გამხრწნელ პოლემიკის მოსპობა, მაგრამ ჩვენმა იდეიურმა მოწინააღმდეგეებმა ეს ჩვენი გულწრფელი სურვილი არაფრად მიიჩნიეს. ისინი ალბად კარგადა ჰგრძნობენ თავს ამ ატმოსფერაში. ვარწმუნებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ პოლემიკა აქ ზომამდე არ მივიდოდა, პროტესტები მხოლოდ ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ რომ ყოფილიყო მიმართული. მაგრამ, როგორც ტფილისის მუშებიც აღნიშნავდნენ თავიანთ საპასუხო წერილში, დასელებმა კვლავ გაიმეორეს ის, რასაც ფ. ზახარაძე ამბობდა ილია ჭავჭავაძის შესახებ და ამით კვლავ შეურაცხყოფა მიაყენეს ტანჯულ მოამაგის სახელს. როდესაც ასეთმა საქციელმა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია მუშების ნაწილში, ჩვენ არ შეგვეძლო ამ სამართლიან და ადვილად ასახსნელ გრძნობისთვის გასასვლელი გზა არ მიგვეცა. მით უფრო, რომ დასელებმა, როგორც სჩვევიათ, ეჭვი შეიტანეს, რომ მათ წინააღმდეგ მიმართული პროტესტი მუშებისაა.

ჩვენ თითონა ვგრძნობთ, რომ ასეთი სისტემა ბრძოლისა ჰრყვნის საზოგადოებრიობას. არავითარი სურვილი არა გვაქვს ამ გამრყვნელ პოლემიკის მონაწილენი გავხდეთ და პროტესტების მოგროვებით და ბეჭვდით გავიტანოთ ლელო.

ამიტომ ერთხელ და სამუდამოდა ვსპობთ, როგორც პოლემიკას ამ საკითხის გამო, ისე პროტესტების ბეჭვდას. უმორჩილესადა ვსთხოვთ ყველას, ამიერიდან დასელების წინააღმდეგ პროტესტებს ნუღარ გამოგზავნიან, რადგანაც ეს ჩვენს გაზეთში არ დაიბეჭდება.

დაე ისტორიამ გაგვასამართლოს!..

## უბრალო წინადადება*)

„სიმართლის ხმის“ მე-14 ნომერში ასოთ-ამწყობების „წერილი რედაქციის მიმართ“ არის მოთავსებული, რომელშიაც ეხებიან ჩემს „უმგვანო“ საქციელს და, რამდენადაც კი შესაძლებელია, თავიანთის თავის განსადიდებლად და სხვისი ნდობის დასაკარგავად აღელვებულის კილოთი მიბრძანებენ:

„ჩვენ, ტფილისის ასოთ-ამწყობთა ერთი ჯგუფი, ძლიერ აგვაღელვა ამ ახლად მოვლენილ „ასოთ ამწყობის“ სახელით მოვაჭრე ვაჟბატონის საქციელმა და წინადადებას ვაძლევთ ბ. ასოთ-ამწყობს, თუ შესწევს ცოტაოდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, გამოაშკარავოს თავისი ნამდვილი ფიზიონომია, რათა ამით საშუალება მოგვცეს ჩვენ და მკითხველ საზოგადოებას გავიგოთ, თუ რა ჯურის ასოთ-ამწყობთან გვაქვს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით მას ღირსეული სახელი ვუწოდოთ და ეჭვი შევიტანოთ მის ასოთ-ამწყობობაში. ასოთ-ამწყობთა მონდობილობით ვანო ბოლქვაძე, ერ. ჩანტლაძე, ბიქტორ წულაძე“.

როგორც სჩანს, ასოთ-ამწყობთა ერთი ჯგუფი იმდენად „აღელვებულა“ ჩემის წერილით, რომ რწმუნებულებიც უშოვნიათ „ხმის ასამაღლებლად“. უნდა მოვახსენო, რომ მაინცა და მაინც ჩემი წერილი იმდენად ასაღელვებელი არ იყო, რამდენადაც საზოგადო ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა, რისთვისაც „სიმართლის ხმამ“ ამაზე „შესაფერი“ პასუხიც გამცა. მაგრამ ასოთ-ამწყობთა რწმუნებულები ჩემს საქციელს მაინც იწუნებენ: „ასეთი დაბლაგულაიარაღით აღჭურვილა ეს „რწმენით აღსავსე“ ვაჟბატონი დ ექომაგება თავის „მამათ-მთავრებს“, რომ იხსნას განსაცდელისაგანო“.

საწყლები! როგორ გაუტაცნია თავიანთ „სიმართლეს“! რამდენადაც სხვას უწუნებენ საქციელს, იმდენად მათი საქციელია დასაწუნი. თუ მართლა თქვენი მამათ-მთავრების ქომაგობა არ გინდოდეთ და სიმართლე გალაპარაკებდეთ, ასეც არ მოიქცეოდით. არ მოიქცეოდით, რადგან აშკარადა ჰხედავთ, ეს სამი თვეა პროტესტების სახით ერთ და იმავენაირად ჩამოყალიბებული ლანძღვა-თრევა გაისმის დასელების გაზეთში, რომელიც აღელვებს ყველა შეგნებულ ადამიანებს. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს თქვენ სასიამოვნო ამბად მიგაჩნიათ, როდესაც გამოდიხართ ჩემ წინააღმდეგ მაშინ, როცა ჩემს წერილში დასელების მწერლებს წინდაუხედაობას ვუსაყვედურებდი.

ვეკითხები ჩემ მოპირდაპირე ასოთ-ამწყობთა რწმუნებულებს, თუ კი არ იცრუებენ, ის ერთი ჯგუფი ასოთ-ამწყობთა, რომელთაც იგინი იხსენიებენ, ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ, „აღელვებულნი“ პირდაპირ მათთან მივიდნენ და დაავალეს ილა. პარკონ მათის სახელით, თუ ამ სამმა პიროვნებამვე შეადგინა ხსენებული ჯგუფი და რწმუნებულობაც თვითონვე იკისრეს?

მე პროტესტები ხალხის გამთახსირებელ საშუალებად ჩავთვალე და ამიტომ იყო, რომ ჩემს წერილში ასეთ საქციელს ყველას ვუწუნებდი, ვინაიდან ამგვარ პროტესტებში მრავალი სიყალბეც შეიძლება აღმოჩნდეს. და ვინც ამაზე აღელდება, მარტოლოდ ძალიან სუსტი ნერვების პატრონი უნდა იყოს. ეს იმას მაგონებს, რომ სხვისა ბამბა ჩხრიალებს და მათი კი კაკალიც არა.

თქვენ, თუ მართლა იმის მოსურნე არ იყოთ, რომ ხალხში აღელვება და შფოთი გამოიწვიოთ, ასეთ მოწოდების მზგავს წერილს არ დასტამბავდით, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს და მხოლოდ ერთი პიროვნების ლაფში ამოსვრისთვის დარაზმულხართ. ამით თქვენ გინდათ, რომ მუშებს შხამიანის კილოთი გადასცეთ და ერთხელ კიდევ დასთესოთ ღვარძლი და ბოროტება.

თქვენ კარგად უწყით ჩემი „ახირებული პროტესტების გამო“-ს („სახ. გაზ.“ № 981) ბოლოში რომ ასოთ-ამწყობი უწერია, ის ნამდვილი ასოთ-ამწყობია, როგორც ორჯელ ორი—ოთხია, ისიც ნამდვილად იცით, ვინც არის, მაგრამ თქვენ რომ მართლა საქმის სიყვარული გალაპარაკებდეთ და არა პირადი კინკლაობა, მხოლოდ ზემოხსენებულ ჩემ წერილს გაუწევდით ანგარიშს და დაარღვევდით, თუმცა, როგორც თქვენა და თქვენიანებმა ბრძანეს, იქ განმეორება არაფერი იყო წინანდელი წერილებისა, თქვენ ასე არ მოიქცეოდით.

თქვენ პოლიციურ საშუალებას მიმართეთ და „პასპორტი“ მომთხოვეთ. ვისაც კი ლიტერატურასთან მახლობელი კავშირი აქვს იმდენად მაინც, რომ ლიტერატურული ზრდილობა ესმის, მაშინ ჩემი ვინაობის გამომჟღავნებას არავინ მოისურვებდა. თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლიათ და დაჟინებით გინდათ გაიგოთ ჩემი ვინაობა, მაშინ მეცა მაქვს მაგვარი უფლება, რასაკვირველია თქვენის წყალობით მონიჭებული, რომ ასეთივე ბრძანებით მოგმართოთ: მიეცით ჯერ წინადადება „სიმართლის ხმას“, რომ გამოაშკარაოს იქაური თანამშრომლები: ნარიძე, მადლენი და მრავალი სხვა ასეთები, რადგან რამდენადაც თქვენთვის არის საჭირო ჩემი ვინაობა, მომეტებულად უფრო ჩემთვის არის საჭირო მათი ვინაობა. მაშინ დამემდებული ბრძანდებოდეთ, რომ დანამდვილებით მოგახსენოთ ჩემი გვარი, სახელი, მამის სახელი, ან რომელი გუბერნიიდანა და სოფლიდანა ვარ, თვით „პასპორტის“ ნომერიც კი.

ასეთი მოქცევა თქვენი ბრალი არ არის. ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ „პიროვნების დასამტკიცებელი საბუთები“ კაცმა ყოველ წამს თითო ნაბიჯის გადადგმაზედაც თან უნდა ატაროს და მეც ამგვარი

*) თანახმად მიღებული განაწყვეტილებისა, (იხ. სარედაქციო შენიშვნა) ეს წერილი არ უნდა დაბეჭდილიყო, იბეჭდება მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე აწყობილი იყო. რედ.

# „მსოფლიო სევდის“ პოეზია

1.

საფრანგეთის ცნობილი „მგოსანქალს ლუიზა აკერმანს*) აქვს ლექსი, უკიდურეს პესიმისტურ სულისკვეთების გამომხატველი. ლექსში დასურათებულია საშინელი სამსჯავრო; სცემს საყვირი მთავარ-ანგელოზისა და მის ხმაზე მიცვალებულნი სამარის ძილისაგან იფხიზლებენ; ნაწილი მიცვალებულთა აღემართება სიფლავით, რათა წარსდგეს სამსჯავროს წინაშე, ხოლო ისინი კი, ვინც სიცოცხლე ტანჯვა-წამებაში გაატარეს, მთავარ-ანგელოზს ემუდარებიან: შეაჩერე საყვირი და ნუ გვირღვევ საუკუნო განსვენებასო. „როგორ, ხელახლა ქვეყნად ვოლინება?—აღშფოთებით წარმოსთქვამენ იგინი, კვლავ ხილვა ჰაერისა, ცისა და ხმელისა?... ოჰ, არასოდეს! დეე იქმნეს ჩვენთვის კვლავ მარადიული ბნელი და მარადის დაურღვეველი სიჩუმეო“. ვერც სამოთხის ნეტარებათა აღთქმა აშვიდებს მათ, რადგან არა რას ძალუძს დაახშოს მათ გულში ქვეყნად განცდილ ტანჯვა-ვაებათა მოგონება. ქვეყნიური ცხოვრების ასეთი ფერადებით დასურათება იშვიათი არ არის კაცობრიობის ცხოვრებაში. მას აქეთ, რაც ადამიანმა თვისი გონების თვალი მიაპყრო ქვეყნიურ არსებობას, მისთვის მელანქოლიური სულის-კვეთება თითქმის განუყრელი თანამგზავრი შეიქმნა. ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინად ძველმა ინდოეთმა შექმნა პესიმისტური სისტემა—ბუდიზმი, რომლის აზრითაც ქვეყნიური არსებობა მხოლოდ განუწყვეტელი ტანჯვა-ვაებაა და თვით ცხოვრება კი სრული არარაობაა, რადგან არ არის არსი, არის მხოლოდ ყოფნაო. პესიმისტურ სულისკვეთებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ძველ ბერძენთა და რომაელთა ცხოვრებაში: ჰომიროსის დიდებულ ქმნილებაში ასეთი სიტყვებს ვკითხულობთ: „ქვეყნად ადამიანზე უბედური არა არისო“. დიდებული სოფოკლე ამბობდა: „უმჯობესია ქვეყნად სრულიად არ გაჩნდე, ხოლო დაბადებულთათვის ადრე მიცვალება ყველაზე უკეთესიო“; ასეთივე პესიმისტური ელფერი გადაჰკრავს პოეტ ლუკრეციუსის ნაწერებს, ხოლო ძველმა სტოიკებმა ხომ გასაოცარ გულგრილობამდე მიიტანეს თავის მოკვლა.

ქრისტიანობამ ზეციურ სამოთხის შესახებ ქადაგებით უფრო განამტკიცა ადამიანთა შორის სულის მელანქოლიური განწყობილება. მართალია, იგი სანუკვარ ბედნიერებას ჰპირდებოდა ცხოვრებით განაწამებ ადამიანს ზეციურ სამეფოში, მაგრამ ამ ქვეყნიური ცხოვრება კი ეშმაკისა, ბოროტ სულთა სამეფოდ მიაჩნდა ქრისტიანობის უმრავლესობას საშუალო საუკუნოებში და ხსნას ბერობაში, განდეგილებში ეძიებდნენ. ამ დროის (საშუალო საუკ.) პოეტს გარტმან-ფონ-დერ-აუეს პოემა: „საწყალი ჰენრიხი“, რომელშიაც თვისი ბატონის სახსნელად სამსხვერპლოდ განმზადებული ქალწული შემდეგი სიტყვებით მიჰმართავს მწუხარებისაგან მოქანცულს მშობლებს: „ქვეყნიური ბედნიერება მარად წარმავალია, ამისათვის სრულიად არ მამძიმებს ცხოვრების განშორება, დღევანდელი მხიარულება ხვალ მწუხარებით შეიცვლება, ხოლო ყოველივეს დასასრულში კი სიკვდილია აღმართული, რომლის წინაშე თანასწორია კეთილშობილება და მამაცობა, სიმდაბლე და ბიწიერებაო“.

აღორძინების ხანაში კვლავ იღვიძებს სიცოცხლით დატკბობის ძლიერი სურვილი; შეუჩერებელი წყურვილი ბედნიერებისა, თავისუფლებისა და ცოდნის შეძენისა მძლავრად მოითხოვს დაკმაყოფილებას. საფუძველი ეცლება საშუალო საუკუნოების უნიადაგო პესიმიზმს და ადამიანის ცხოვრების ტატნობზე ბრწყინვალე მზე ამოანათებს, საერთოდ „საამურია ამ დროის ცხოვრებაო“, ვტყვით გუმანისტ ულრიჰ ფონ-გუტენის სიტყვით. მაგრამ არსებითად ვერც ამ დროის ხელოვნება ასცილდა მელანქოლიურ სულისკვეთებას. ამ დროის ცნობილ მხატვარს დიურერს აქვს სურათი, რომელშიაც სიმბოლიურადაა გადმოცემული მელანქოლია: ზღვის პირად ზის მეტად ლამაზი ქალი, ანგელოზის ფრთებით შემკული, მის გარეშემო მოთავსებულია სხვა და სხვა ხელსაწყო—სიმბოლო სხვა და სხვა მეცნიერებისა. ქალის გამომეტყველება რაღაც იდუმალ ტანჯვას გამოსთქვამს; თვალები მწუხარებით მიუპყრია ძას სივრცისაკენ, თითქოს მომავლის წინასწარ ხილვას ესწრაფვისო.

საზოგადოდ ცხოველმყოფელი იმედი შემდეგ ხანში მალე სასოწარკვეთილ სულისკვეთებით შეიცვალა. შექსპირის გმირს ჯაკს უკვე ნათლად ემჩნევა მელანქოლიისა და სულით დაავადმყოფების ნიშნები. საერთოდ დიდებული შექსპირი ხშირად ჰფიქრობდა იმ „წყეულ“ საკითხთა შესახებ, რომელთა ფიქრში, თითქმის ორასი წლის შემდეგ, არა ერთი და ორი წუთი გაატარა ჰენრიხ ჰეინემ. აი რას ამბობს შექსპირი პოეტ ლუკრეციუსის პირით: „ოჰ, შემთხვევავ: შენ ხარ ყოველივეს მიზეზი, შენ უწყობ ხელს ბოროტგანზრახვათა შესრულებას, შენ მიგყავს მგელი იქ, საიდანაც მას კრავის გატაცება შეუძლია, შენ მარადის განუწყვეტელ ბრძოლაში ხარ გონებასა დ სიმართლესთან“.... (პოემა ლუკრეციუსი). ვგონებ ყველამ კარგად იცის ჰამლეტის ის სიტყვები*), რომელშიაც იგი თვის სულიერ დაავადმყოფებას ეხება; რამდენი ნაღველი და სასოწარკვეთილებაა მათში გამოთქმული! იგი თავის მოკვლაზედაც კი ჰფიქრობს, მაგრამ სარწმუნოებრივი გრძნობა და უცოდინარობა იმისა, თუ რა მოელის სიკვდილის შემდეგ, აჩერებს ასეთი ნაბიჯისაგან.

თითქმის 150 წელი გაივლის და მელანქოლიური განწყობილება, ოდნავ მიყუჩებული, კვლავ წამოჰყოფს თავს. ამ ჟამად დიდებული გიოტე სთხზავს თავის „ვერტერს“, რომელშიაც უკიდურესი პესიმიზმია გამოთქმული. „ვერტერი“ პირველი გამოძახილი იყო იმ დამწუხრებულ სიმღერისა, რომელიც შემდეგ მთელ ქვეყანას მოედო და იმდენად დაატყვევა სმენა ადამიანისა, რომ მათ სხვა აღარა ესმოდათ რაო, ამბობს ცნობილი მწერალი კარლეილი. წარმოიდგინეთ, ნაპოლეონ I-ლი, ახალგაზრდობაში, არტილერიის პორუჩიკად ყოფნის დროს, ერთ წერილში ამბობდა: „ადამიანებთან ყოფნის დროს მელანქოლია ეუფლება ჩემს სულს და სიკვდილისაკენ მიჰმართავს ჩემს ფიქრებს; ჩემი სიცოცხლის დასაწყისში, ვგონებ, უფლება მაქვს ხანგრძლივი სიცოცხლის იმედისა, და რა ძალაა იგი, რომელიც მაიძულებს სიკვდილზე ვიფიქრო? მაგრამ ან კი რა უნდა გააკეთოს აქ ქვეყნად ადამიანმა? ხომ უნდა მოვკვდე ყოველ შემთხვევაში და უმჯობესი არ იქნება წინდაწინვე შევსწყვიტო ჩემი ქვეყნიური არსებობა?“

ცოტა უფრო ხანგრძლივად შევჩერდები მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნ. დასაწყისის მსოფლიო სევდაზე და მოკლედ აღვნიშნავ იმ პირობებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს და რომელთ წიაღშიაც შავი იჩინა ხსენებულ დროის ძლიერმა პესიმისტურმა სულისკვეთებამ, დიდებულ რუსოს ცხარე პროტესტმა მშრალ რაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც განათლებულ ქვეყნებში ენციკლოპედისტებმა დაამკვიდრეს, ბრძოლამ წინააღმდეგ სოციალური უთანასწორობისა და საზოგადოებრივი ცრუ-მორწმუნოებისა და ქადაგებამ ადამიანის წმინდა უფლებათა შესახებ დიდი გავლენა იქონია მთელს ევროპაზე. ფილოსოფიურ კრიტიკის მეოხებით ნიადაგი გამოეცალა იმ ქვეყნიურ სამოთხის რწმენას. ადამიანმა ქვეყნად მოინდომა თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის სამეფოს დამყარება, რევოლუცია ტანჯულთ და წამებულთ ბედნიერებას ჰპირდებოდა. მაგრამ იმედი არ გამართლდა. უმოწყალოდ დაღვრილ სისხლს თან მოჰყვა ბედნიერება და კვლავ ფრთა გაშალა ოდნავ მიყუჩებულმა მელანქოლიურმა სულისკვეთებამ. ამ მხრივ შატობრიანის „რენე“ პროტოტიპია ყველა იმ დემონიურ არსებისა, რომელიც შემდეგ „ჩაილ-ჰაროლდის“ სხვა და სხვა სამოსელში მთელ ქვეყანას მოედო. რენე ყველა ადამიანს კაცუნად სთვლის და მხოლოდ თავის თავს უწევს ანგარიშს. მელანქოლიით შეპყრობილი, იგი მზადაა თავი მოიკლას, მაგრამ ასეთ ნაბიჯისაგან შეაჩერებს და: „შენ მხოლოდ სულელურ ოცნებათ ეძლევიო, ეუბნევა რენეს მოხუცი შაქასტა: დიდებულ ადამიანად ვერ გახდები მხოლოდ იმისათვის, რომ ქვეყანას ზიზღით უცქიროო“. საერთოდ შატობრიანის ხსენებულ ნაწარმოებში იმდენად ძლიერადაა გამოთქმული სასოწარკვეთილი სულისკვეთება, რომ საშუალო სასწავლებლის მოსწავლენიც კი, რომელთაც ცხოვრების ჯერ კიდევ არა იცოდნენ რა, „რენეს“ წაკითხვის შემდეგ თავს ძალზე უბედურად სთვლიდნენ.

რენეს განმეორებანი არიან ნოდიეს ჟან სბოგარი და სენანკურის ობერმანი.

მე 19-ე საუკუნის პოეზიაში თვალ-

*) უმთავრესად ვისარგებლე შემდეგი შრომებით: პრ. სტოროჟენკო „Поэзія міровой скорби“; ნ. კოტლიარევსკი: „Міровая скорбь“; კარიერო „Искуство въ связи съ общимъ развитіемъ культуры и идеалы человѣчества“ და აგრეთვე წერილში ხსენებულ მწერალთა რუსულ ენაზე თარგმანი თხზულებებით.

*) ხელთ არა მაქვს „ჰამლეტი“, ქართულად ნათარგმნი დაუვიწყარ ივ. მაჩაბლის მიერ, და ამისათვის ვერ აღვნიშნე ხსენებული სიტყვები. ა. ჭ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთი უბეზედა მაქვს მიკერებული, რადგან ჩემთვის უფრო ბევრად საჭიროა, ვიდრე სხვისთვის.

მაშ ასე. შეასრულეთ ზემოხსენებული პირობები და დაუყონებლივ წარმოგიდგენთ ხუთ-წლიან „პასპორტს". **ახოთ-ამწყობი.**

P. S. რადგან „სახალხო გაზეთის" რედაქციამ უკვე გამოაცხადა დღევანდელ ნომერში, რომ სამუდამოდ სპობს ყოველ გვარ კამათს ილია ჭავჭავაძის გარშემო ატეხილ დავის შესახებ და ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, ამიტომ ამიერიდან მეცა ვსპობ თქვენთან კამათს. **ახ.-ამწ.**

# თუ ჩემთან მოხვალ

თუ ჩემთან მოხვალ, ოთახს შეგიმკობ ფერად ყვავილით,
თვით განგიმზადებ თივთიკის საწოლს, მორთულს ქსოვილით,
ფეხთ-ქვეშ გაგიფენ მზის ქვეყნიდან მოტანილ საფენს
და თანაც გიმღერ ცის ნათელ სიზმარს, ნორჩ გულის სალხენს.
ჩემს ტურფა მიჯნურს, როს თმას დაგიშლი, მოგიალერსებ,
როს მიბნედილი შენს წმინდა სახელს ვნებით ვახსენებ—
თვით შენ მოიწევ მთრთოლვარე ბაგით საამბორებლად,
აღარ ისურვებ კვლავ ისწრაფოდე განსაშორებლად.

მითხრა—მოვალო... არ კი მოვიდა და ვღონდებოდი;
ნეტამც სცოდნოდა რარიგის ღელვით ველოდებოდი!
სარკმელთან ვიდექ. ღამე ვფხიზლობდი, სევდით პყრობილი,
როს გავიგებდი ბაღში ნელ შრიალს ლახვარ-სობილი,
აგრე მეგონის, მიჯნური ჩემკენ იყო სრბოლილი.
მაგრამ მის ნაცვლად ნიავი მტრფობდა გამოქროლილი.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# მუშათა ცხოვრება

✦ **ნიკოლაევი.** გაიმართა ადგილობრივ ადმინისტრაციის თათბირი, რომელშიაც სამხრეთის რკინის გზის უფროსი იღებს მონაწილეობას. თათბირი დატვირთულ ვაგონების გაცლის საკითხს არკვევს, რადგან ნავთსადგურის დამტვირთველ მუშების გაფიცვის გამო აუარებელი ვაგონი სდგას გაუცლელი. გაფიცულთა მაგიერ ტუსაღებს, ქალებს და ბავშვებს ამუშავებენ. რკინის გზის უფროსმა დეპეშით გამოითხოვა ნებართვა გზათა მინისტრისაგან, ჯარის საშუალებით ვაგონების გაცლისათვის. საბირჟო კომიტეტმა ხერსონში აგენტი გაგზავნა ტუსაღების ჩამოსაყვანად, რომელნიც გაფიცულთა მაგიერ იმუშავებენ.

✦ **მადრიდი.** მუშათა გაფიცვა დასრულდა.

**მანჩესტერი.** ნავთ-სადგურში მუშაობა შეჩერებულია. გაფიცულია 5 ათასი კაცი.

✦ **ლივერპული.** 150 მუშა შეუერთდა გაფიცულთ.

✦ **ლონდონი.** გაიფიცნენ ომნიბუსთა ტილინგის ფირმის მუშები, რიცხვით 600 კაცი.

✦ **ბაქო.** ნობელის ფირმამ გამოუცხადა მუშებს, რომ ანგარიში ჩაიბარონ, მაგრამ მუშები არ გამოცხადდნენ ანგარიშის მისაღებად.

✦ **გროზნა.** გაფიცვა ისევ გრძელდება. უკანასკნელ დროს ბევრმა მუშამ პასპორტები ჩაიბარა და სოფელში წავიდა.

✦ **გროზნა.** ნავთის სამრეწველოებში გაფიცვა დასრულდა. მუშებმა განაახლეს მუშაობა.

✦ **რეველი.** ხუთი ქარხნის მუშებიდან უკვე შეუდგნენ მუშაობას სამი ქარხნის მუშები.

✦ **რიგა.** ნავთსადგურში 3400 მუშა მუშაობს, მათ რიცხვში ბევრი ტუსაღია. აკლია 600 მუშა სრულ რიცხვამდის.

✦ **ნიკოლაევი.** მიუხედავად მოლოდინისა დამტვირთველებსა მუშა ბა მაინც არ დაიწყეს. მოიწვიეს ტუსაღები.

✦ **პეტერბურგი.** გარტმანის ქარხნის გამგეობამ ყველა დათხოვნილი მუშა შავ სიაში შეიტანა, ამიტომ მათ არსად არ იღებენ. მუშები შეეკითხნენ საფაბრიკო ინსპექტორს, აქვთ თუ არა უფლება ფაბრიკანტებს ასეთი სიები შემოიღონ.

✦ მუშათა გაზეთების გამოანგარიშებით, გასული თვის განმავლობაში 321 კაცი დაისაჯა მთავრობის საწინააღმდეგო კავშირების წევრობისათვის. დამცველი განყოფილების განკარგულებით დააკავეს 142 კაცი, აქედან 137 მუშა იყო, 4 ნოქარი და 1 მხაზავი. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ სათათბიროს დადგენილებით პეტერბურგიდან გადაასახლეს 64 კაცი (45 მუშა, 3 სტუდენტი, 1 კანტორის გამგე). გაფიცვის წაქეზებისათვის პეტერბურგის ქალაქის უფროსმა დაატუსაღა 2 კვირიდან ორ თვემდის 28 კაცი. ამის გარდა დაატუსაღეს მრავალი მუშა პროფესიონალურ კავშირების წევრები, გაჩხრიკეს 200 კაცი. პოლიციამ აკრძალა სამი საჯარო ლექცია და ორი კრება პროფესიონალურ საზოგადოებისა.

✦ **ირლანდია.** დუბლინის ახლო სოფელში სასოფლო-სამეურნეო მუშებმა დიდი არეულობა მოახდინეს. პოლიციამ იარაღი იხმარა. ერთი გლეხი მოჰკლეს.

✦ **გერმანია.** სოციალ-დემოკრატების კრება მკაცრად მიეგება საპარლამენტო ფრაქციის მოღვაწეობას. არ მოუწონა უკანასკნელს ის გარემოება, რომ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა პარტიის რესპუბლიკანურს ხასიათს.

✦ **ხუელმა.** ალამასში გაიფიცა 2 ათასი კაცი მთა-მადნეულობაში მომუშავე.

✦ **გავრი.** პურის ვაგონების დამტვირთველებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულები ხელფასის მომატებას ითხოვენ.

✦ **რიგა.** ტყის გადამტვირთველთა გაფიცვა გრძელდება. 350 ტუსაღს ამუშავებენ ნავთ-სადგურში გაფიცულთა მაგიერ.

✦ **ლონდონი.** რკინის გზაზე გაფიცვა შესწყდა. სხვა გაფიცულებიც იწყებენ მუშაობას. ლივერპულში გაფიცულებმა განაახლეს მუშაობა.

✦ **ნიკოლაევი.** საბირჟო კომიტეტმა დაგზავნა აგენტები მუშების მოსაწვევად სოფლებიდან. ხოვი ბუნიდან ჩამოვიდა პირველი ჯგუფი მუშათა. ნავთ-სადგურში 23 საზღვარ-გარეთელი გემი სდგას. ხერსონიდან ტუსაღების ჩამოყვანა არ მოხერხდა, რადგან უკანასკნელნი დღიურ ფასს დიდს მოითხოვენ. ზოგიერთი სადგური დაიკეტა. პური ხერსონში იგზავნება.

# † პ. ი. პეტროვი
(ნეკროლოგი)

გუშინ წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილი, გიმნაზიის მასწავლებელი ა. პეტროვი. განსვენებული სულ ახალგაზდა კაცი იყო. 1910 წელს დაასრულა ოდესის უნივერსიტეტი და სამი წელიწადია რაც თავდადებით ღვაწობდა აქ პედაგოგიურ ასპარეზზე ქუთაისში. ამიერ-კავკასიაში იშვიათია კარგი მასწავლებლის დანიშვნა. განსვენებული კი იმდენად პატიოსანი, იმდენად კეთილშობილი იდეალისტი იყო, რომ ამ მოკლე ხანში არამც თუ თავის ამხანაგებისა, არამედ ყველა მოწაფისა და საზოგადოებაშიც სიყვარული დაიმსახურა. საქართველოში დაბადებულ-აღზრდილს ჩვენებური ყოველი შესისხლხორცებული ჰქონდა, საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნდა და ბევრს ჩვენ მასწავლებელს არ ჰქონდა ისეთი მისწრაფება ჩვენთვის კარგის გაკეთებისა, როგორც განსვენებულს. თუ როგორ აფასებენ მას მოწაფენი ნათლად დავინახავთ მოწაფის წერილიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო „იმერეთის" უკანასკნელ ნომერში, რომელიც მოგვყავს სრულებით:

„6 სექტემბერს ქალაქის საავადმყოფოში, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი პ. პეტროვი. განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა იყო, სამის წლის წინად გაათავა უმაღლესი სასწავლებელი, ჯანღონით სავსემ პედაგოგიური ასპარეზი აირჩია. მის ერთად-ერთ მიზანს ახალგაზდობაში მუშაობა, მისი გაწრთვნა და მომზადება ახალი საზოგადოებრივი მუშაობისათვის და შეადგენა. ის უნერგავდა მოსწავლე ახალგაზდობას მაღალ წმინდა იდეალებს.

მას არა ერთისათვის გაუწოდებია ხელი შველისა და გონიერი რჩევით დაუბრუნებია აცდენილი გზიდან.

განსვენებული იყო მეგობარი მოსწავლისა, ჭეშმარიტი მასწავლებელი, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, მისი დაკარგვა ამ დროს, თანამედროვე სკოლაში დამყარებულ პირობების დროს, მწვავე და საკვალალოა. ეხლა, როდესაც თანდათან ღრმავდება უფსკრული მასწავლებლისა და მოსწავლის შორის, როდესაც წრფელი მეგობრული განწყობილების ნაცვლად მკვახე, ფორმალური, თითქმის მტრული დამოკიდებულებაა მათ შორის და მასწავლებელმეგობრის ადგილს მერცე რიცხვის მომლოდინე, მოხელე იჭერობს, უფრო მწვავედ გრძნობს კაცი სიმძიმეს დანაკარგისას.

ძვირფასო მასწავლებელო! ხვალ სამუდამოდ გაგვაშორებენ შენთან, მაგრამ შენი სახე სამარადისოდ აღბეჭდილი დარჩება შენს მოწაფეთა შორის.

ნაზი იყო ცხოვრება შენი და სავსე გულუხვი სიყვარულით, დეე ისეთივე სიხაზით და სიყვარულით ჩაგიკრას შენმა საუკუნო სავანემ. **ლ. ო.**"

ქუთაისიდან განსვენებული გუშინწინ ჩამოასვენეს. მის დაკრძალვაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ აგრეთვე მერვე კლასის მოწაფეები მასწავლებელ ლ. სტავინსკის მეთაურობით. სასაფლაოზე მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა მისმა მოწაფემ გაგუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ თუმცა მისი ხმა კვლავ არ გაისმის კლასში მოწაფეებს შორის, მაგრამ მისი ნათქვამი და მასთან ერთად მისი ნათელი პიროვნება აღმოუფხვრელი იქნება მათ ხსენებაში, ვინც კი მას პირადად იცნობდა.

# უცხოეთი

**ირლანდის ჰომრული.**

ინგლისელ კონსერვატორებს ძილს უფრთხობს ირლანდიის თავისუფლება. ქვედა პალატის შემოდგომის სესიაში მესამეჯერ დაისმება საკითხი ირლანდიის ჰომრულისა და ინგლისის კონსტიტუციის ძალით, იგი კანონად იქცევა. ზედა პალატამ ჰომრული უარჰყო. კონსერვატორებს სურთ ისარგებლონ ხალხის უკმაყოფილებით ასკვიტის სამინისტროს დასამხობად. კონსერვატორები წინადადებას აძლევენ მთავრობას, უკან წაიღოს ჰომრულის ბილი და სამაგიეროდ ფედერაციის ბილი შემოიტანოს. ფედერატიული სისტემით ყველა ოლქს თავისი შინაური საქმის მოწყობა შეეძლება, ხოლო საერთო საქმეებისთვის პარლამენტში დეპუტატს გაგზავნის. დეპუტატის არჩევა მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით იქნება. ასკვიტის სამინისტროს დიდ ბრძოლას უწევენ სუფრაჟისტი ქალებიც. მეორის მხრით მუშათა პარტიის დეპუტატები უკმაყოფილონი არიან სამინისტროს მოქმედებით უკანასკნელ გაფიცვების დროს. თუ როგორ შესძლებს მოხერხებული ასკვიტი ამ გასაჭირს თავი დააღწიოს, პალატის შემოდგომის სესია დაგვანახვებს.

# რუსეთი

**გადასახადი ბამბაზე.**

სატახტო გაზეთების სიტყვით, მთავრობას პროექტი შეუდგენია, რომლითაც კავკასიასა და თურქესტანიდან გატანილ ბამბაზე გადასახადი უნდა შემოიღონ. ასეთი პროექტი მთავრობამ მესამე სათათბიროსაც წარუდგენია, მაგრამ სათათბირომ უარჰყო. მაშინდელი პროექტით რუსეთში გატანილს თითო ფუთზე 50 კ. გადასახადი წესდებოდა, ეხლანდელით კი 15 კ. მთავრობის აზრით, ასეთი გადასახადი საჭიროა ბამბის წარმოების გასაძლიერებლად. მოხსენება ამბობს: ბამბის მოყვანის საქმე ძლიერ ცუდად არის, ფული საჭიროა და გადასახადით აღებულ ფულს ბამბის მოყვანას მოვანდომებთო.

„რუსკია ვედომოსტი" პროექტს იწუნებს და ამბობს: თუ მთავრობა დღემდე საზღვარ-გარეთელ ბამბაზე გადასახადს იღებდა, ეს გასაგები იყო, რუსეთის ნაწარმოებისთვის მტკიცე ბაზარი უნდა გაეჩინათ. როდესაც თვით რუსეთში კავკასიისა და თურქესტანის ბამბისთვის სადამოჟნო გადასახადს აწესებენ, ეს ახალი უცნაურობაა. მთავრობა სეპარატისტობას სწამებს სხვებს და თვითონ კი სეპარატისტობს თვისი პროექტებით. მთავრობას შეუძლიან გადასახადი შემოიღოს დამშეულ გუბერნიებში, ხე ტყეზე, ქვანახშირზე და სხვა დარგის ნაწარმოებზე, რადგან რომელი დარგი წარმოებისა შეიძლება დაასახელოთ, სადაც წარმოება თანამედროვე ტეხნიკის განვითარებას შეეფერებოდეს? მაშ, გადაახდევინეთ დამშეულ გლეხებს ფული. ჩრდილო გუბერნიებიდან გატანილ თითო ნამორზე გადასახადი დააწესეთ და მერე აღებული ფული მეურნეობის გაუმჯობესობას მოახმარეთ. რაჰქნას დამშეულებმა ან წარმოებამ, ვიდრე თქვენ აღებული გადასახადებით სასუფეველს დაამკვიდრებდეთო?

**დეპუტატთა თათბირი.**

კიევში სტოლიპინის ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად არიან სათათბიროს დეპუტატები. ნაციონალისტებს, ცენტრს და ოქტომბრისტებს საერთო კრება ექნებათ. ამ კრების მომწვევია სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო. როძიანკოს სურს, ერთი ძლიერი ცენტრი შეჰქმნას. მემარჯვენენი ამ კრებაზე მიწვეულნი არ არიან. კრების პროგრამაში შევა საერობო და საქალაქო რეფორმებისა, ბეჭდვითი სიტყვისა და პრეზიდიუმის არჩევის საკითხი. თუ ამ საკითხებში შეთანხმება მოხდა, მაშინ კოკოვცევთან მოლაპარაკებას გამართავენ. თუ კოკოვცევი დაჰპირდება სახელმწიფო საბჭოში აღნიშნულ რეფორმების გაყვანას, დეპუტატები ჰპირდებიან მთავრობას მხარის დაჭერას.

**ცვლილება მმართველ წრეებში.**

როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, ხმა გავრცელებულა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოკოვცევის სამსახურიდან გასვლა გადაწყვეტილია, თუმცა ინიციატივა თითონ კოკოვცევს არ ეკუთვნისო. კოკოვცევის მოადგილედ ა. ვ. კრივოშეინს ასახელებენ. ამ უკანასკნელ ხანებში სწორედ ამ საქმის გამო იყო დაბარებული ლივადიაშიო. კოკოვცევთან ერთად, როგორც ამბობენ, სამსახურს თავს დაანებებს შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვიც.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული დრამა.** როგორც ვიცით, წელს ტფილისში დიდი დრამატიული დასი შესდგა, რომელსაც სამი რეჟისორი ჰყავს: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და მიხ. ქორიძე. დასის შესავსებად ახლა კიდევ მოიწვიეს ქუთაისიდან ორი მსახიობი ბ-ნნი ბარველი და მურუსიძე.

დასში ამ ჟამად დიდი მუშაობაა მომავალ სეზონისთვის, რომელიც 15 სექტემბერს დაიწყება ა. სუმბათაშვილის „ღალატით". განსაკუთრებულის ყურადღებით ამზადებს დასი არა მარტო ახალ პიესებს, არამედ იმათაც, რომელნიც ჩვენს სცენაზე რამდენჯერმე დადგმულა.

სექტემბრის რეპერტუარი შემდეგია: 15 სექტემბერს დასდგამენ „ღალატს" ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით, წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენის სცენის ყველა პირველ-ხარისხოვანი მსახიობი. 19 სექტემბერს ნინო ჩხეიძის მონაწილეობითა და მ. ქორიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნება ნ. შიუკაშვილის პიესა „ცაცინათელა" ხოლო შემდეგ მოჰყვება: 22 სექტემბერს-„მეფე ედიპე", 26 სექტემბერს-„ინსტიქტი" და 29 სექტემბერს-„დედა-კაცი და დედა".

ტფ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ უკვე გაათავა მოლაპარაკება ქუთაისის დრამ. საზოგად. გამგეობასთან მომავალ სეზონში ქუთაისში წარმოდგენის გამართვის გამო. საბოლოოდ გადაწყდა, გამართოს ტფ. დასმა ქუთაისში თვეში ოთხი წარმოდგენა. ქუთაისში სეზონი დაიწყება 28 სექტემბერს „ღალატით", რომელიც იმ გვარად და იმავე შემადგენლობის მიერ იქნება წარმოდგენილი, როგორც ტფილისში. მეორე წარმდგენა გაიმართება 29 სექტემბერს. წარმოადგენენ პოლიაკოვსკის პიესას „ლაბირინტს", რომელიც პრემიით არის დაჯილდოვებული.

წელს წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ახილი ორიგინალური პიესა: „ნაგავი" ნ. შიუკაშვილისა, „სინათლე" ი. გედევანიშვილისა, „სამდედიშვილი" ლ. ქიქელისა, „უნიადაგონი" და „უპრეტენზიო კომედია" ვ. შალიკაშვილი, „ამოცანა" ვ. ალექსი-მესხიშვილისა, „ბურუსი" ს. ქანტურიშვილისა, „მეფე არლეკინი" დ. კასრაძისა, რომელსაც პიესის აზრი ლოტარისაგან აქვს გადმოღებული.

წელსვე პირველად წარმოდგენილ იქნება შემდეგი ნათარგმნი პიესები: „დამარცხებული რომი" „კულტურული მკვლელობა", „გაზაფხულის ეშხით", „ინსტიქტი", „მესამე სართულის მდგმური", „მხსნელი" ფილიპისა.

# ღია წერილი

**ნაფიც ვექილს გ. ი. გრძელიშვილს.**

1912 წელს ხაშურის კერძო პროგიმნაზიის კომიტეტთან ქ-ნი ე. მატბეროვისას უთანხმოება მოუვიდა და მან საჩივარი აღძრა კომიტეტის წინააღმდეგ, რომლის დამცველად თქვენ ბრძანდებოდით, რამდენად ღირსეულად ასრულებდა ქ-ნი მატბეროვისა თავის მოვალეობას და რამდენად დაიმსახურა მან საზოგადოების ყურადღება და რა რიგ სთვლავდა როგორც საზოგადოებას აგრეთვე მოზარდი ახალ-თაობის ინტერესებს, ამისი უტყუარი საბუთების ნაწილი უკვე იყო შარშან „სახალხო გაზეთის" № 681-ში გამოქვეყნებული, რაც დაურღვევლად დარჩა დღემდე. მიუხედავად ამისა, სკოლის კომიტეტმა ქ-ნი მატბეროვისა, დააკმაყოფილა ყველაფერში სრულად, რის შესახებ მიიღო მისგან ჯეროვნად შემოწმებული ბარათი*) 16 ოქტომბერს 1912 წ. მატბეროვისა ამ ბარათით ვალდებული გახდა საქმე სასამართლოში მოესპო.

მაგრამ ნაცვლად საქმის მოსპობისა, თქვენ საქმე დაიცავით და აღმასრულებელი ფურცელიც მიიღეთ. სასამართლოში არავინ გამოცხადებულა, ვინაიდგან საქმე უკვე გათავებული გვქონდა.

ეს აღმასრულებელი ფურცელი მესამე პირზე გადააცემინეთ თქვენ ქ-ნ მატბეროვისას და ამ მესამე პირთან და სასამართლოს ბოქაულთან ერთად თქვენ 26 აგვისტოს 1913 წ. ცნობის მოუცემლად სკოლის კარებს მიადექით და გამოსაცდელად მისულ მოწაფეებს გამორეკას დაემუქრეთ. შეიძლებოდა გვეფიქრა, არ გცოდნოდათ, რომ ეგ ფული უკვე დიდი ხანია გადახდილი იყო, მაგრამ როცა დამოწმებული ბარათი წარმოგიდგინეთ, ამან თქვენზე არავითარი გავლენა არ იქონია და განაგრძეთ საქმე, და თან ამაყად მიპასუხეთ, რომ ეგ სულ-ერთია თქვენთვის, თქვენ კი მესამე პირის საშუალებით სკოლის ფულებს ჯიბეში ჩაიჩხრიალებთ და ასეც მოიქეცით.

შარშან, როდესაც მაგ საქმის დამცველად კომიტეტის რამდენიმე წევრი გამოვიდა და მათ შორის მეც, რომელთაც სურდათ სინამდვილის გამოფენა, თქვენ ეს ვერ აიტანეთ. გავლენა იქონიეთ და, თუ ასე ითქმის, შეცდომაშიაც შეიყვანეთ გაზეთი „ზაკავკ. რეჩი" და გაზეთში მოათავსებინეთ შეუფერებელი წერილი სათაურით: „Провинціальные нравы" და ჩვენ საზოგადოების ინტერესების გულწრფელ დამცველებს ვიგინდარები, და სხვა ამისთანები გვიწოდეთ.

ეს, ალბად, იმიტომ, რომ გარეშე ფოლაქებ-ბრჭყვიალა უსულო ჩინოვნიკებისა, თქვენის შეხედულობით, არავინ არის ღირსი პატივცემულ მოქალაქის სახელის ტარებისა, მაგრამ, ვსთქვათ მაგალითად, თქვენი შეხედულება ასეთია, სოფლებში გულწრფელ და დაუღალავ მოღვაწეებს მაწანწალები უწოდოთ, მაშ, ნება მიბოძეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, გკითხოთ რა სახელი ეწოდება იმ ადამიანს, რომლის მოვალეობას შეადგენს ჭეშმარიტების, სამართლიანობის, და უფლების დაცვა და ის კი ამის ნაცვლად უკარნახებს და ხელმძღვანელობას უწევს ხელ-მეორედ ფულის გადახდევინების საქმეს და ისიც ისეთ დაწესებულებიდან, როგორიც არის კერძო ინიციატივით დაარსებული სკოლა.

**დამფუძნებელი და წევრი სკოლის კომიტეტისა გ. ჩიქოვანი.**

*) ბარათის ასლს ამასთანავე გიგზავნით.

# დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**7—8 სექტემბერი.**

**უცხოეთი.**

**სოფია.** რადკო დიმიტრიევი გაემგზავრა პეტერბურგს თავის თანამდებობაზე. დედოფალმა ელეონორამ მიიღო კარნეჯის კომისია.

ხევროკოპის პრეფექტის თანაშემწე იუწყება სერესიდან დემირგისარიდან გამოქცეული ბულგარელები, სამშობლოში რომ უნდა დაბრუნებულიყვნენ, ბერძნებმა დაიჭირეს.

გაემგზავრნენ ინჟინრები ხარტოვო-გიმიულჯინის რკინის გზის გამოსაკვლევად.

ბულგარეთის მთავრობამ გადასცა საბერძნეთისას სია ტყვეთა და განთავისუფლა ბერძნები-ტუსაღები. საბერძნეთის მთავრობამ უარი სთქვა ტყვეთა სიის წარდგენაზე და სურვილი გამოსთქვა ტყვეების უსიოთ გაცვლის თაობაზე. ბულგარელ დატყვევებულთა შორის არიან ბანკის და ფოსტის მოხელენი, რომელნიც სამხედრო ტყვედ ჩაითვლებიან. ამას გარდა ბევრი ბულგარელია დაჭერილი ისეთი, რომელნიც ოსმალეთის ქვეშევრდომობისას ბულგარეთის იდეას ემსახურებოდნენ. ბერძნები არც ათავისუფლებენ და თანაც სტანჯავენ.

**სტამბოლი.** ერთობისა და პროგრესის პარტიის კონგრესი გაიხსნა. კონგრესში 85 პროვინციის კომიტეტის წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. თავმჯდომარეობს ახმედ-რიზა. კონგრესი ერთ ფვეს გასტანს.

ოსმალთა და ბულგარელების კონფერენცია განაგრძობს მუშაობას. ფიქრობენ, ორშაბათისთვის სამშვიდობო ოქმზე ორივე მხარე ხელს მოაწერსო.

**თავრიზი.** მცხოვრებნი აღელვა მეჯლისის არჩევნებმა. ბაზარი დაკეტილია პროტესტის ნიშნად.

**ბელგრადი.** რადგან ალბანეთის საზღვრებზე თავდასხმა არ ისპობა, მთავრობამ აუკრძალა ალბანელებს სერბიის ტერიტორიაზე მიმოსვლა და განაცხადა, რომ სერბია იძულებული იქნება დაიჭიროს დიდ სახელმწიფოების სურვილის თანახმად განთავისუფლებული სტრატეგიული ადგილები.

**ვენა.** „კორ. ბიუროს" ვალონიდან ატყობინებენ: შესდგა დიდი მიტინგი ესად-ფაშის გასაკიცხავად. მიტინგში მონაწილეთ სამეგობრო დემონსტრაცია მოახდინეს ავსტრო-ჰუნგრეთისა და იტალიის საელჩოების წინ.

**პარიზი.** პუანკარე დაბრუნდა 10 სახ. საათზე.

**ოპოროვეცი** (გალიცია). ახალი შემ-

---

...საპატიო ადგილს იჭერს **ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიური ელემენტები.** ადამიანის ქვეყნიურ არსებობის მრავალი მწვავე საკითხი იპყრობს მწერალთა შემოქმედებას და მათგან დაჟინებით მოითხოვს ახსნა-განმარტებას. ავიღოთ, მაგალითად, დიდებული გიოტეს „ფაუსტი", ეს უდიდესი შემოქმედება ადამიანის გონებისა. გიოტეს ფაუსტი ნათლად ჰგრძნობდა, რომ ცუთი, როდესაც იგი თავის თავს კმაყოფილად აღიარებს, იქნება მისთვის წუთად სულიერი სიკვდილისა; რომ მისთვის სიცოცხლე მხოლოდ მსოფლიოს შეცნობისადმი მისწრაფებაა. ეს გზა კი იყო და მარადის იქნება წყაროდ მელანქოლიურ სულისკვეთებისა, რადგან მსოფლიოს საიდუმლოს ამოცნობა მუდამ მიუწდომელი იქნება ადამიანისათვის.

მე 19-ე საუკუნის მსოფლიო სევდის პოეზიის ბუმბერაზი მამა-მთავარი ინგლისის დიდებული მგოსანი ბაირონი არის. მის პოეზიაში ნათლად არის აღბეჭდილი პოეტის მშფოთვარე, მუდამ მოუსვენარი სული. იგი თითქოს ჰგრძნობდა, რომ საბერძნეთის განთავისუფლებელ ბრძოლაში განუტევებდა სულს: ერთს ლექსში იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს თავის თავს: „წადი, ექიე იგი, რასაც ჩვენ ხვედრში, ეგრე ადვილად ჰპოულობენ—ეძიე მეომრის საფლავი, იპოვე იგი ბრძოლის ველზე და სამუდამოდ განისვენე".

რომ ჩვენთვის ნათელი იქნეს ბაირონის მელანქოლიური სულისკვეთება, მისი მსოფლიო სევდა, შევჩერდეთ დიდებულ მგოსნის რამოდენიმე პოემაზე. დავიწყოთ „ჩაილდ-ჰაროლდიდან." ჰაროლდი თავისუფალი იყო, ვით გარეული ფრინველი, მან არ იცოდა არავითარი გრძნობა რაიმე მოვალეობისა არც მოყვარისა და არც პირადად თავის წინაშე: მას მოსწყინდა ასეთი თავისუფალი ცხოვრება და სულით დაავადმყოფდა.*) იგი ჩაიოთრევდა ტოლ-ამხანაგების და ცხოვრების ლხინ-ნადიმების ფერხულში. ხშირად ცრემლებიც კი მოადგებოდა ხოლმე თვალებზე, მაგრამ გაბუდრებული სიამაყე იქვე ამშრალებდა მათ. ჰაროლდმა შეიყვარა მარტოობა, მაგრამ მხებას ვერც მასში ჰპოულობდა; ბოლოს გადასწყვიდა სულ მიეტოვებინა სამშობლო: „ბიჭუნაო, რომელიც თვით ითხოვს ავსოიც საფლავს, დიდი ხანია დამარხა ყველაფერი იმედი დ მისთვის იმედის აღორძინება შეუძლებელია. სიამოვნებისა და გახცრომის მსხვერპლიო"—ამბობს პოეტი ჰაროლდის შესახებ, მაგრამ ჰაროლდი არა მარტო „სიამოვნებისა და გახცრომის მსხვერპლია", იგი ბაირონის ახალგაზდობის წარმომადგენელია, მგოსნის ახალგაზდურ ზრახვათა გამომხატველია და, ვგონებ, ვერავინ იტყვის იმას, რომ ბაირონის მსოფლიო სევდის მიზეზი მხოლოდ ცხოვრების სიამოვნებათა ნაყროვნება იყოს. პოეტი ერთ ადგილას ცაში მოსრიალე ლაღ ღრუბელთ ეკითხება: საით მიისწრაფვით ღრუბელნო? ეგებ თქვენც იგივე ხართ, რაც ადამიანის გულში ყოველს წამს ცხოვრობს, ან ეგებ იპოვეთ თავშესაფარი ვით არწივებმა კლდის ხალჭანში? ჩემის აზრით, სწორედ „მსოფლიო სევდის" ღრუბელთა შეუჩერებელი სრბოლვა სწარმოებდა იმ მგოსნის გულში, რომელსაც კარგა ხანია დაეკარგა სულის სიმშვიდე და ადამიანის ხვედრის შესახებ განუწყვეტელ ფიქრში ბრძოლა გამოეცხადებინა მთელი მსოფლიოს წესწყობილებისათვის.

**ალ. წერეთელი.**

(შემდეგი იქნება).

*) ეს და ზოგიერთი სხვა ადგილი ბაირონის შესახებ ამოღებულია „ს. გ—ში" მოთავსებულ ჩემ წერილიდან: „ნ. ბარათ.", როგორც სულის ობლობის გენიოსი".

თხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა.

**ბუქარესტი.** ხოლერით ავად გახდა 87. სულ ეპიდემიის გაჩენიდან ავად გახდა 3716, გარდაიცვალა 1136, კარგად არის 486 კაცი.

**სტამბოლი.** კერძო წყაროებიდან იუწყებიან, კირკილისეში ხოლერა ანადგურებს ოსმალთა ჯარსაო. ჯარი დათხოვნას მოითხოვს. პორტას ეშინიან, ჯარებმა დაბრუნებისას ხოლერა არ შემოიტანონ სტამბოლში და სთხოვს ბულგარეთს დედე-აგაჩის გზით გაატარებინოს ჯარი.

**ლვოვი.** გალიციაში სტიქიურ უბედურებისაგან გამოწვეული ზარალი უდრის 270 მილიონს მანეთს.

**პარიზი.** ელლინთა მეფემ დილით მიიღო პიშონი და ესაუბრა 40 წუთს. ისაუზმა ელისეს სასახლეში. საუზმეზე სიტყვით მიჰმართა პუანკარემ კონსტანტინეს და სთქვა: საფრანგეთი ბერძნების ერთგული დამხმარე იყო ყოველთვის. შეაქო ბერძენთა გულადობა და მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება წასულ ომში, რომლის შემდეგ საბერძნეთი ტერიტორიით გადიდდა. კონსტანტინემ მადლობა გადაუხადა პუანკარეს და აღნიშნა საფრანგეთის დიდი ღვაწლი ელლინთა მიმართ. ორთავეს სადღეგრძელოები ფეხზე ადგომით და მარსელიოზისა და საბერძნეთის ჰიმნის გალობით მოისმინეს.

**ტეტუანი.** ისპანიის არტილერია ადგილობრივ მცხოვრებთ დაედევნა, რომელნიც საყარაულოებს ტყვიას ესროდნენ. არტილერიამ დასპო ახლო-მახლო მდებარე დუარები.

**ვენეცია.** ქალაქისაგან დათმობილ მიწაზე აგეს საერთაშორისო სამხატვრო გამოფენის რუსის პავილიონი. პავილიონი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ხელქვეშ იქნება.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო უარყოფს უცხოელ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს, თითქოს მელნიკი დაენგრიოთ ბულგარელებს. ბერძნებმა სტრუმიცი და პეტრიჩა გაანადგურეს, მოკლეს ვაჭარი სპირო სურუჯიევი, რომელიც ქვით დასჰრეს და სალონიკში ხოლერიანთა ბარაკში მოათავსეს ბოროტმოქმედების კვალის დასამალავად. 2,050 ბულგარელს შიმშილით ხოცავენ არქიპელაგის კუნძულებზეო.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** დაბრუნდნენ კიევიდან მინისტრები: კოკოვცევი, რუხლოვი, ტიმაშოვი, ხარიტონოვი და საბლერი.

სამხედრო საბჭომ მოიწონა სახელმწიფო სათათბიროში შესატანად კანონ-პროექტი საავტომობილო გადასახადის შემოღების თაობაზე.

დაიჭირეს მე-31 ნომერი „სევერნაია პრავდა"-სი.

გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს დადგენილება საჭირო შაქრის დამზადების თაობაზე 1914—15 წლისთვის. საჭიროა 85 მილიონი ფუთი, ხელუხლებელი უნდა იყვეს 80 მილიონი. საერთო ნაწარმოები უნდა უდრიდეს 105 მილიონ ფუთს.

**სევასტოპოლი.** პორუჩიკი ფიშერი ფრენის დროს ჩამოვარდა 200 მეტრის სიმაღლიდან და სასიკვდილოდ დაშავდა.

**ხარბინი.** ცეცხლმა გაანადგურა ნიპგუტში 600 შენობა, მათ შორის ბევრი სავაჭრო სახლია.

**ნოვოჩერკასკი.** გამოფენაზე აჩვენებენ 160 ცხენებს არაბულის, დონის და ინგლისის ჯიშისას.

**სმოლენსკი.** გაიმართა სასოფლო-სამეურნეო და შინა მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენა.

**ოდესა.** მთავარი სასანიტარო-საექიმო ინსპექტორი გაეცნო ხოლერის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებათ და კიშინიოვში გაემგზავრა.

აქ ჩამოვიდა კრივოშეინი და დაათვალიერა საბაღოსნო სკოლა.

**პოლტავა.** ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**კიშინიოვი.** სანიტარულმა კომისიამ შეიმუშავა ღონისძიებანი ხოლერის წინააღმდეგ.

**კიევი.** მეფუტკრეთა კრებამ სასურველად სცნო, რომ ერთ ერთ უმაღლეს აგრონომიულ სასწავლებელთან მეფუტკრეობას ასწავლიდნენ, გადათვალიერებული იქმნეს საფუტკრო იარაღების გადატან-გადმოტანის ტარიფი და ქალაქებმა ღონისძიებანი მიიღონ ფუტკრის ნაწარმოებთა ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. კრებამ სურვილი გამოსთქვა, მეფუტკრეობას უნდა ასწავლიდნენ სასულიერო სასწავლებლებსა, სემინარიებსა და სამრევლო სკოლებში.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს მე-27 ნომერი გაზეთ „ნოვაია რაბოჩაია გაზეტასი".

**ტომსკი.** ბიის არეულობის საქმის გარჩევა დასრულდა; 11 გაამართლეს. 6-ს ტუსაღოა გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტეს რვა-რვა თვით, დანარჩენთ სასჯელი ეპატიათ მანიფესტის ძალით.

**კიევი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე და ზოგიერთი დეპუტატები გემით დნეპრზე ხერსონისკენ გაემგზავრნენ. მგზავრობას კავშირი აქვს შავი და ბალტიის ზღვების შეერთების საკითხან.

**ნოვოჩერკასკი.** გაიხსნა წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება. კრებას დაესწრნენ ბევრი კოოპერატიულ დაწესებულებათა, მოსკოვის სახალხო ბანკის და წვრილ კრედიტის მთავარ გამგეობის წარმომადგენლები. საერთოდ 260-მდე კაცი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ თქვენი პატივცემული გაზეთის უმახლობელეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სამტრედიის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს სადგურ სამტრედიის კონდუქტორ-მემუსიკეთა გუნდს და მათ ხელმძღვანელს სევერიანე კ. ფრანგიშვილს, რომელთაც, ზემოხსენებულ განყოფილებას შემოსწირეს მათ მიერ გამართულ წარმოდგენიდან დარჩენილი 50 მანეთი.

გამგეობის მონდობილობით მდივანი **ვლ. ნაცვლიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, თუ შესაძლებლად იცნობთ, ეს წერილი დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ბ. სიტყვას წერილს გამო, რომელიც მოთავსებულია № 982-ში.

ფრიად სამწუხარო ამბები გვესმის საქართველოს სხვა და სხვა მხრიდან მოუსავლობის შესახებ. დასავლეთ საქართველოს მოელის სიმშილი. ამავე დროს ს. ყვარელში და მის მახლობელ სოფლებში საუკეთესო მოსავალია, როგორც პურისა და სიმინდისა, აგრედვე ყურძნისა. მართლაც დალოცვილია ეს მხარე კახეთისა ბუნებით და... ჩარჩებით, რომელნიც დაძრწიან უშველებელ „ლიტრიანით" და ჰყიდულობენ მშვენიერს ხორბალს თორმეტ-ცამეტ აბაზად კოდს და გაჭირვებულებისაგან იკვეთავენ წინადვე ღვინოს ნასამედის ფასად.

აი, სად არის საჭირო, როგორც ბტ. სიტყვა სწერს, კომიტეტი, რომელიც იკისრებდა პურის ყიდვას დამშეული ხალხისათვის, იმის მაგიერად, რომ ამ გაჭირვებულ დროს არ ისარგებლონ ჩარჩებმა და არა ჰყიდონ მერე მამასისხლად.

მოვუწოდებ მგრძნობიარე გულს ქართველობისას, ნუ დაივიწყებენ ქრისტიანულ კაცთმოყვარეობას, გაუწოდონ, ვისაც რით შეუძლიან, დამხმარე ხელი თავის მშიერ ძმას.

ამასთანავე მოვახსენებ რედაქციას იმ კომიტეტის საყურადღებოდ, რომელიც შესდგება ამ მძიმე საქმისთვის, რომ შემიწირავს მშიერ მოძმეებისთვის მცირე წვლილი, ოცი ფუთი ხორბალი, ან იმის ფასი, როგორც კომიტეტისთვის იქნება ადვილი.

ყვარელის მღვ. **ვალ. ტაბლიაშვილი.**

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! სოფ. დიდცემში, სადაც ამ ჟამად იმყოფება ჩვენი ავადმყოფი მგოსანი იროდიონ ევდოშვილი და რომელსაც ღვთის მადლით თან და თან უკეთობა ეტყობა—შევაგროვეთ, მოაგარაკეთა შორის პატივცემული მღვ. გერვასი ბარათაშვილის და ნიკოლოზ ცინცაძის დახმარებით მცირეოდენი წვლილი—სულ ოთხი თუმანი და ექვსი შაური რომელიც აქვე გადავეცით ძვირფას მგოსანს ირ. ევდოშვილს. გაახლებთ ამასთანავე შემომწირველთა სიას და გთხოვთ უმორჩილესად გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემომწირველთა სახელი და გვარი და შეწირულების რაოდენობა.

ულრმესი პატივისცემით ელიკო მატარაძის ასული.

შემომწირველთა სია:

№№ 3 მ., ორ-ორი მანეთი; ელისაბედ დარჩიაშვილმა, დესპინე ლომინაძემ, გოცირიძემ, გიორგი ჰრელაშვილმა, ვლად. ბერძენმა, გერასიმე მათეს ძე ცაგურელმა 1 მ. 50 კ., №№ 1 მ., თითო მანეთი; მჭედლიშვილმა, ბენ. მამფორიამ, ელ. დარჩიაშვილმა, რაჟდენ მგელაძემ, ალ. ბასიაშვილმა, ლევიკო და მელიკო უზნაძემ, №№-მა, კოლა ცინცაძემ, დავით ფიცხელაურმა, ნესტორ რუსიშვილმა, მიხა კეკელიამ, ვ. კეცლიშვილმა, სვიმონ ლეჟავამ, გ. ალავერდოვმა, ცხატაძემ, ს. ლორთქიფანიძემ, ჯულაშოვმა, ივანე კახეთელიძემ. ათ-ათი შაური: ბეჟიტაძემ, №№-მა, ტიგრან თავაკანოვმა, ცხვედაძემ, არჩილ შვედოკმა, თამარა გეგეშიძისამ, ბარბარე ლოლაძისამ, ეკზ. მეცლერისამ, №№-მა, ბორჩხაძემ, ცომაიმ, ხერხეულიძემ, ჯარიანცმა, №№ 60 კ.

სულ 40 მ. 30 კ.

სოფელ ზემო გომში კნეინა სალომე თეიმურაზის ასულის ციციშვილის მიერ შეკრებილი ფული ავადმყოფ მგოსნის იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ.

შემომწირველთა სია: კნ. სალომე თ ციციშვილისა 2 მ., პარვენ დომენტის ძე მაჭაროვი 1 მ., თ. ივან. ფალავანდიშვილი 1 მ., ე. კარბელაშვილი 1 მ., ათ-ათი შაური: მიტროფანე ქლენტი, კოლია მოსიაშვილი, თ. ვასილ ბაგრატიონ-დავიდოვი, ალექსანდრე კაკაბაძე, ნიკოლა გოგოლაძე, ლევან გელაშვილი. მიშა კოდუაშვილი 40 კ., გიორგი გვერწითელი 30 კ., ავალ ავალიანი 30 კ., მახმედამ 20 კ., სარდიონ პაპიაშვილი 30 კ., იოსებ კაკაბაძე 30 კ., სოკრატ გულოვი 20 კ., ფარსადანა კვირიკაშვილი 20 კ., გიგო ოსაძე 20 კ., იაგორა სხირტლაძე 20 კ., გრიგოლ ოს ძე 30 კ., მიხა გურგენიძე 15 კ., სოსო ფხიკიძე 10 კ., კოლა კუთხაშვილი 20 კ., ოქრო მაღლაქველიძე 20 კ., მარჯანიძე 20 კაპ., №№ 25 კ. სულ 12 მ.

გაახლებთ იმ სიას, რომელიც წარსულ თვეს 31 ივლისს ვლადივოსტოკიდან ექვსი თუმანი რომ გაახელით დეპეშით ავადმყოფ პოეტი ირ. ევდოშვილის გადასაცემად. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთის" მახლობელ ნომერში.

შემომწირველთა სია: სამ-სამი მან. სერაფიონ ვარდანიძე, ლევან კინწურაშვილმა, ბარნაბა ბაშელმა, ლადიკო ღლონტმა, ბათლომე ლომჟანიძე, მ. ს. ოდელაშვაძე, დ. მ. ღუკიშვილი, დავით პეტრ. მოდებაძე; ორ-ორი მან.: ნიკო ჭავჭანიძე, ივანე თარხნიშვილი, ასლან ბაქრაძე, სამსონ კობერიძე, გ. თოთიბაძე, ი. მხეიძე, იოსებ ნორაკიძე, ი. კეჭაყმაძე; როსტომ გელენიძე 1 მ და 50 კაპ.; თითო მან.: ლავრენტი ფილიპეს ძე აბაშიძე, ნიკო ლოლუა, პეტრე ელაგიონმა, ვასო ყუფიანი, კოწია ჯაყელი, გიორგი ჩიგოგიძე, მ. ს. დოლიძე, ტიგრან ზ. სოლროევი, მ. გორდაძე, შ. აგიაშვილი, ბ. კესეევი, შ. მირიანაშვილი, ესტატე გიგაშვილი, ვასილ კახიანი; ა. სიხარულიძე 1 მ., ათ-ათი შაური: სერგო დოლიძე, ერთმა ვინმემ, მახაკო წივწივაძე, ვ. გოგიბერიძე, ს. იობიძე, ი. ზატიკაშვილი, ალექსი ფურცხვანიძე.

ეს მცირე ნივთიერი დახმარება არის შეგროვილი 30 მან. და 50 კ. ვლადივოსტოკში გიორგი ჩიგოგიძის თაოსნობით 29 მან. და 50 კაპ. ნიკოლსკში და სადგურ უგოლნიაში ჩემი თაოსნობით.

**სერაფიონ ვარდანიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! გაახლებთ-რა თელავის საზოგადოების წევრთა შორის შეგროვილს სამ თუმანს და 30 კაპ. იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ ვუსურვებთ მალე განკურნებას.

მინდობილობით **ნ. გოგოლაძის ასული.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3. **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24, 23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **ძ. ფოჩხიძე-ოსიროვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ია. ძ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარეოდნენ სასანიტარო წესიერების დაცვაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არდევნების საჭიროებას აცნობონ, ყურადღება მიაქციონ ხალხის სისუფთავეს და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობოს, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგანგებო პოლიციის კანტორებში. ვერის ბაზარზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, და ვლ. სამდელის ქუჩა ან და მალაკნის მოედანზე.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

### „606" და „914"

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგაბაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**გ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აველიხანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოიგებიან.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## ფეხსაცმელები თომა დ. ჯანჯღავაშვილის
**მაღაზია-სახელოსნოში,**
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
**საკუთარი ქარხ.**
მეხანიკური ნაწარმოები. 527



**მასწავლებელი**
## სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, საპატიოქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი.: ვერა, იზმაილოვის მიხახვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

უფლებიანი **საფაჭრო სკოლა** უფლებიანი
## და საბუჰგალტრო კურსები ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფ. ნოვისა,
ნახვა შეიძლება დღის 8—2 საათამდე, სკოლაში, თუმანოვის ქ. № 13, და საღამოს 5—8 საათ. კურსებზე მიხეილის პროსპ., № 53. 615

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი

## ბუჰგალტერიის პრაქტიკული კურსები ი. თ. პალატნიკოვისა.

თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერვა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესწავლილ საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: პაზოგ., საგაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 11) უცხო ენები: ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან მ საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

გამოსულია და იყიდება
## ნ. შიუკაშვილის პიესა „მემკვიდრეობა",
დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
## საბუჰგალტრო კურსები ნ. პ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ბრძოლა, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო . . . | 1 მ. |
| გიორგი ხანძთელის ცხოვრება, . | 3— |
| გოგებაშვილის რჩეულ. ნაწერები, | 1— |
| გაბაშვილი ეკატ. თხზულებანი. | 1— 20 ,, |
| ეტიუდები მე-19-ე საუკ. ქართულ ლიტ. შესახებ, კ. აბაშიძისა, ტ. 1, | 70 ,, |
| იგივე, ტ. 2-ე, | 70 ,, |
| ექსპერიმენტალ. პედაგოგიკა. უზნაძე, | 75 ,, |
| ვეფხის ტყაოსანი, წ.-კ. საზ. გამ. | 60 ,, |
| ,, ქართველიშვილის გამ. | 11—65 ,, |
| კახეთის ამბოხება, ა. ფურ. . | 60 ,, |
| მთიულეთი, . . | 40 ,, |
| მეჯღანუაშვილი, . . | 50 ,, |
| მაცი ხვიტია, . . | 50 ,, |
| რჩეული ნაწ., გ. ერისთავისა | 60 ,, |
| ქალთ-ეთერი და სირინ., ევდ. | 10 ,, |
| ქართვ. ერის ტრაგ (გიორგი სააკაძე და მისი დრო), ქვარ. . | 40 ,, |
| ჩემი ნანინა, ახოსპირ. . | 10 ,, |
| **ახლად მიღებული წიგნები:** | |
| ჩემი ნაწერები, ტ. მე-2-ე, აკაკისა | 75 ,, |
| კოოპერატივები იტალიაში, | 50 ,, |
| წვრილი კრედიტის დაწესებულება, | 10 ,, |
| О доисторическомъ языкѣ Закавказья, К. М. Т. . . | 65 ,, |
| Обитель Св. Давида въ Грузіи, | 25 ,, |
| Памяти ген. кн. Циціанова, | 25 ,, |
| Изъ поѣздки въ Сванію. Б. Марра, | 30 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
## საკომერციო ცოდნათა კურსები ც. მ. ფილოიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, **ტელეფ. № 976.**

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, .იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 **ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

## მუდამ დღე მოგვდის თევზის მრეწველნი ძმ. ............ მეზველოვები.
**ახალ-ახალი** მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი **ხიზილალა** |ქიტკა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.